თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 17

„27“ თებერვალი 2015 წ.

## “თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ” თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2014 წლის 11 აგვისტოს № 12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. შევიდეს ცვლილება “თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ” თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აგვისტოს № 12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, მიღების თარიღი - 11/08/2014, სარეგისტრაციო კოდი - 010250020.35.163.016193) კერძოდ:

ა) დებულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. აპარატის სტრუქტურული ერთეულები

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:
   ა) საორგანიზაციო განყოფილება;
   ბ) მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილება.
2. აპარატის საჯარო მოსამსახურეებია: აპარატის უფროსი, განყოფილების უფროსი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი და სპეციალისტი.“;

ბ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-$5^{1}$ მუხლი:

„მუხლი 5¹. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

1. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე:

   ა) უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალით ცალკეულ დარგებში მიმდინარე მუშაობისა და შექმნილი მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ხელს უწყობს მას საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაში;

   ბ)იღებს ინფორმაციას საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

   გ)უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის საქმისწარმოებას, მის სახელზე მიღებული კორესპონდენციის ანალიზს და განხილვას;

   დ)ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის თათბირებსა და შეხვედრებს;

   ე)მონაწილეობს სამართლებრივი აქტების, სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებაში;

   ვ) ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე      პაატა გიორგობიანი